უმაღლესი განათლება და მდგრადი განვითარების მიზნები

ჟანეტა კილასონია, სოციალური მეცნიერებების დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სტატია ფოკუსირებულია უმაღლეს განათლებასა და მდგრადი განვითარების მე-4 მიზანზე, რომელიც გულისხმობს ინკლუზიური და თანასწორი ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფას და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების შექმნას ყველასათვის. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრიათ მდგრადი განვითარების მიზნების და მისი 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებაში, რომელიც მიიღო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2015 წელს. ეს სტატია მიზნად ისახავს მკითხველმა გაანალიზოს მდგრადი განვითარების 4 მიზანსა და უმაღლეს განათლებას შორის კავშირი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ 2015 წელს მიღებული 17 მდგრადი განვითარების მიზანი (Sustainable Development Goals SDGs) მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ, გარემოსდაცვით და ტექნოლოგიურ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს და ვრცელდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე. მდგრადი განვითარების მიზნებმა გააფართოვა ხედვა, რის შედეგადაც დაწყებით და საშუალო განათლებასთან ერთად მოიცვა უმაღლესი განათლება. ეს მნიშვენლოვანი ნაბიჯი იყო რადგან ათასწლეულის განვითარების მიზანების დღის წესრიგის ნაწილი არ იყო უმაღლესი განათლება.

მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი მოითხოვს თანაბარ ხელმისაწვდომობას ხარისხიან განათლებაზე მათ შორის უმაღლეს განათლებაზე. ამასთან ერთად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ, მდგრადი განვითარების ყველა მიზნის მიღწევაში, მათი განსაკუთრებული როლის გამო ადამიანის ცნობიერების ფორმირებაში, ცოდნის წარმოებასა და ინოვაციაში.

გარდა ამისა, უმაღლესი სასწავლებლები პასუხისმგებელნი არიან დაეხმარონ ადამიანებს თავიანთი მოქალაქეობრივი როლის გაცნობიერბაში და უზრუნველყონ უნარ-ჩვევები და კომპეტენციები მომავალი პროფესიონალებისთვის, რათა უპასუხონ მდგრადი განვითარების გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, მდგრადი განვითარების მიზნები, ათასწლეულის განვითარების მიზნები.

Higher education and the Sustainable Development Goals

Zhaneta Kilasonia
PhD Candidate in Social Sciences
Georgian Technical University

Abstract

The article focuses on higher education and Sustainable Development Goal 4, which aims to ensure inclusive and equitable quality education and lifelong learning opportunities for all. Universities play a key role in the implementation of the Sustainable Development Goals adopted by the United Nations General Assembly in 2015 and its 2030 Agenda.

The purpose of this article is to provide the reader with an analysis of the relationship between Sustainable Development Goal-4 and higher education.

The 17 Sustainable Development Goals, adopted by all United Nations Member States in 2015, cover a wide range of issues related to socio-economic, environmental and technological development and apply to all countries in the world. In addition to primary and secondary education, the Sustainable Development Goals are now placing more emphasis on higher education. This was an important step because higher education was not part of the Millennium Development Goals agenda.

Sustainable Development Goal 4 calls for equal access to quality education, including higher education. Furthermore, higher education institutions play an important role in achieving

all of the Sustainable Development Goals due to their special role in shaping human consciousness, knowledge production and innovation.

Furthermore, higher education institutions have a responsibility to help people fulfill their role as citizens and to provide skills and competences to future professionals to meet the challenges of sustainable development.

Keywords: Sustainable Development Goals, Millennium Development Goals, Information systems, digital Marketing, marketing solutions.

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარ რესურსს ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს. სწორედ ამიტომ არის განათლება ქვეყნის განვითარების პრიორიტეტული სფერო და მის ეფექტიანობაზეა დამოკიდებული ქვეყნის მდგრადი განვითარება.

იმისათვის რომ, უზურნველყოფილ იქნას დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადამიანის ფუნდამენტური უფლება ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის და ახალგაზრდისთვის, განურჩევლად მათი ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობებისა, სოციალური სტატუსისა, ეთნიკური, რელიგიური თუ რასობრივი მიკუთვნებულობისა.

თანასწორი და ინკლუზიური უმაღლესი განათლების მიღება თითოეული ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და წარმოადგენს პიროვნული და პროფესიული ზრდის, სოციალური კეთილდღეობისა და სახელმწიფოს მდგრადი განვითარების წინაპირობას [1,2].

წლების განმავლობაში აქტიურად იბრძოდნენ საყოველთაო, ინკლუზიური და თანასწორი მოდელის დასანერგად მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემებში. ინლუზიური და თანასწორი უმაღლესი განათლება – გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და შეზღუდული

შესაძლებლბების მქონე სტუდენტების ჩართვას უმაღლეს საგანმანათლებლო სასწავლო პროცესში.

ევროპულ დონეზე, და მათ შორის საქართველოს უმაღლეს განათლებაში მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის გაძლიერების მიზნით რამდენიმე პოლიტიკური ვალდებულება იქნა მიღებული ბოლო 7 წლის მანძილზე, დაწყებული 2015 წლის მარტში ევროკავშირის წევრი ქვეყნების პარიზის დეკლარაციით მოქალაქეობისა და საერთო ღირებულებების ხელშეწყობის შესახებ განათლების გზით. ეს ასევე აისახა 2015 წლის ერევნის კომუნიკეში და ბოლონიის პროცესის 2018 წლის პარიზის კომუნიკეში, რომლის მიზანია გააძლიეროს უმაღლესი განათლების სოციალური განზომილება. ევროკავშირის პოლიტიკის კონტექსტში სოციალურმა ინკლუზიამ ასევე მოიპოვა მნიშვნელობა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. 2017 წელს ევროკომისიამ ეს თემა ჩართო განახლებულ დღის წესრიგში ამავე დროს, იგი გახდა ევროპული ინტეგრაციის სოციალური განზომილების გაძლიერების პოლიტიკის ნაწილი. ასევე აღსანიშნავია, რომ ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმებაში მნიშვნელოვანი კომპონენტი უჭირავს უმაღლეს განათლებაში ინკლუზიურობისა და თანასწორობის ზრდას და ხელშეწყობას [3].

გლობალურ დონეზე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs რეზოლუცია: A/RES/70/1) მიღებული 2015 წელს 193 ქვეყნის მიერ, რომელიც მიზნად ისახავს სიღარიბის დასრულებას, პლანეტის დაცვას და კეთილდღეობის უზრუნველყოფას 2030 წლისთვის, იძლევა უფრო ფართო პერსპექტივას, სადაც სოციალური კეთილდღეობა თამაშობს მთავარ როლს მდგრადობის კონცეფციაში. აქ მჭიდრო კავშირია განათლებასა და უთანასწორობის შემცირების, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სპეციფიკურ მიზნებს შორის, უფრო ფართო მიზნის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას ყველასათვის.

მდგრადი განვითარების მიზნები, თავისი ამოცანებით, ხელს უწყობს სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრას; მშვიდობიანი, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებების მშენებლობას; მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ

ზრდას; კეთილდღეობასა და ღირსეულ სამუშაო გარემოს; ქვეყნებში და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირებას; ადამიანის უფლებათა დაცვას; გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფასა და ქალთა და გოგონათა გაძლიერებას; პლანეტისა და მისი ბუნებრივი რესურსების ხანგრძლივ დაცვას. მდგრადი განვითარების ამ ამბიციური მიზნების შესრულების ვადად 2030 წელი განისაზღვრა.

მდგრადი განვითარების მიზნები (Sustainable Development Goals) ეფუძნება ათასწლეულის განვითარების მიზნების (Milenium Development Goals) გამოცდილებას. ათასწლეულის განვითარების მიზნების შესრულებისთვის განსაზღვრული იყო 2000-წლიდან 2015 წლამდე დროის მონაკვეთი. იმ დროისათვის ათასწლეულის განვითარების მიზნების სახით მნიშვნელოვანი გლობალური სამოქმედო გეგმა იქნა შეთავაზებული. თუმცა, ანგარიშებში ხაზგასმულია, რომ მოცემული გლობალური გეგმის მნიშვნელოვანი გამოწვევა მისი არათანაბარი გავრცელება იყო [4].

გარდა იმისა, რომ მდგრადი განვითარების მიზნები, ათასწლეულის განვითარების მიზნების პრიორიტეტულ მიმართულებებს აგრძელებს, მისი სამიზნე ასევე გახდა სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხების ფართო სპექტრი და მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობა.

საქართველოს მდგრადი განვითარების ეროვნული დოკუმენტი მოიცავს ყველა იმ მიმართულებას, რომლითაც პასუხისმგებელმა დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ 2030 წლის დღის წესრიგის შესრულებისას. ეროვნულ დოკუმენტში ასახულია გლობალური და ნაციონალიზებული ამოცანები, რომელთა მიღწევა საქართველომ 2030 წლამდე უნდა შეძლოს.

მდგრადი განვითარების მიზანი 4 - ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა, გულისხმობს, ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფას და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების შექმნას ყველასათვის. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) და 2030 წლის დღის წესრიგის მიღწევაში. უმაღლესი სასწავლებლები პასუხისმგებელნი არიან დაეხმარონ ადამიანებს თავიანთი

მოქალაქეობრივი როლის გაცნობიერბაში და უზრუნველყონ უნარ-ჩვევები და კომპეტენციები მომავალი პროფესიონალებისთვის, რათა უპასუხონ მდგრადი განვითარების გამოწვევებს[5].

ინკლუზიური და თანასწორი განათლება ნიშნავს ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. ასეთი მიდგომა ამოსავალი წერტილია განათლებასთან მიმართებით წარმოშობილი პრობლემების გადასაჭრელად, რადგან განათლება ყველას თანაბრად ეკუთვნის, მიუხედავად ინდივიდების ფსიქოლოგიური თუ სოციალური საჭიროებისა და ინკლუზიური სტატუსისა. ყველა ადამიანს უნდა ქონდეს შესაძლებლობა მიიღოს უმაღლესი განათლება, იყოს კონკურენტუნარიანი საზოგადოებაში, რადგან ის პოლიტიკური, კულტურული და სოციალური უფლებების რეალიზების გასაღებია.

ამდენად, ინკლუზიური და თანასწორი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს, მეორე მხრივ კი, ეს არის საზოგადოების სოციალური ვალდებულება ხელი შეუწყოს შშმ, სსმ პირების, ეთნიკური უმცირესობების, სოციალურად დაუცველი ახალგზარდების და.ა.შ. ნორმალურ განვითარებას, სოციუმში ინტეგრაციას, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას და მათ აქტიურ ჩართულობას საზოგადოებისა და სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. სწორედ ზემოთ აღნიშნული არის გაეროს მდგრადი განვითარების მეოთხე მიზნის არსი.

ინკლუზიურობა გახდა სტრატეგიული საკითხი მრავალი უნივერსიტეტისთვის, რომლებიც გავლენას ახდენენ სწავლებაზე, კვლევასა და ინსტიტუციონალურ კულტურაზე. ბევრმა მიიღო ზომები ახალი გზების მოსაძებნად, რათა მისცენ საშუალება ტრადიციულად ნაკლებად წარმოდგენილ ადამიანების იპოვონ მათი ადგილი უმაღლეს განათლებაში [6].

თანასწორობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფა არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მთავარი საზრუნავი, ეს არის მათ შორის

კონკურენციის საფუძველიც. - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებს (უსდ), რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ უპირატესობა, უნდა შეეძლონ სტუდენტების მოზიდვა ყველა დონეზე, ხოლო გლობალიზებულ სამყაროში ეს ნიშნავს ღიაობას ყველსათვის. მრავალფეროვანი კვლევითი გარემო აშკარად უფრო კრეატიულია და უკეთეს შედეგებს იძლევა, მრავალფეროვანი სასწავლო გარემო ასევე უფრო მასტიმულირებელია, ვიდრე ჰომოგენური. შესაბამისად, უსდ-ებში თანასწორობისა და ინკლუზიის ხელშეწყობა სათავეს უდებს ინსტიტუციურ ზრდას და განვითარების შესაძლებლობას, რათა უკეთ მოერგოს საზოგადოების საჭიროებებს. უმაღლესი განათლება არის შესაძლებლობა ინდივიდისთვის. აღსანიშნავია, რომ უსდ-ს კურსდამთავრებულებს აქვთ, როგორც მაღალი კმაყოფილება ცხოვრებით, ასევე აქვთ მეტი შესაძლებლობა იპოვონ მათი მოთხოვნის შესაბამისი სამსახური.

უახლესი კვლევები აჩვენებს, რომ შრომის ბაზარი იცვლება და იზრდება მოთხოვნა იმ უნარებზე, რომლებსაც უსდ-ში სწავლის განმავლობაში გამოიმუშავებს ადამიანი, აუცილებელია ყველა ჯგუფის ჩართვა, უმაღლეს განათლების მიღების პროცესში. უსდ-ები არ შეიძლება იყოს ექსკლუზიური იმ დროს, როდესაც საზოგადოება სწრაფად ვითარდება და იზრდება ცნობიერება მრავალფეროვნების სხვადასხვა განზომილებების შესახებ, იქნება ეს კულტურული თუ გენდერული განსხვავებულობა, სოციალური სტატუსი, ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობები. ჩვენი ფუნდამენტური ღირებულებები ღიაობისა და ტოლერანტობის შესახებ მოითხოვს, რომ უსდ-ები იყოს ინკლუზიური, ამ ფართო სოციალურ კონტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გურგენიძე ვ. კილასონია ჟ. „გლობალიზმის ეპოქის უმაღლესი განათლების საკითხები“. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“. 5 (36). 2022: 17-21.

2. კილასონია ჟ. „უმაღლესი განათლების მიზნები და სოციალური უთანასწორობა“. სამეცნიერო ჟურნალი „განათლება“. 4 (35). 2021: 24-28.
3. Claeys-Kulik AL, Jørgensen TE, Stöber H. Diversity, equity and inclusion in European higher education institutions. Results from the INVITED Project. Brussel: European University Association Asil, 51p. 2019 Nov.
4. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები 2016-2030 (https://sdg.gov.ge/main);
5. Chankseliani M, McCowan T. Higher education and the sustainable development goals. Higher Education. 2021 Jan;81(1):1-8.
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ეროვნული სტრატეგია სტრატეგია 2022-2030. (https://matsne.gov.ge/ka/document/view/5557675?publication=0);